მთავარი გეგმა

მდიდარი საქართველო ძლიერი ოჯახი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია



5 მდიდარი საქართველო ძლიერი ოჯახი

დღეს საქართველო გაჭირვებით, უსამართლობით, უპერსპექტივობით სავსე, სიძულვილით დაღლილი ქვეყანაა, რომელსაც რწმენა და სიამაყის განცდა დაეკარგა, მომავლის იმედი და სახელმწიფოებრიობის შეგრძნება აღარ აქვს.

ჩვენ ისტორიულ გზაგასაყარზე ვდგავართ - ან მივდივართ მომავლისკენ, ნაბიჯს წინ გადავდგამთ და მდიდარ საქართველოს შევქმნით, ძლიერი ოჯახებითა და ბედნიერი და წარმატებული ადამიანებით, ან წარსულში ვრჩებით.

31 ოქტომბერს არ არის ჩვეულებრივი არჩევნები, ჩვენ არ ვირჩევთ მორიგ პარლამენტსა და მთავრობას, ჩვენ ვირჩევთ ხელისუფლებას, რომელმაც ჩვენი ისტორიული მისია - მდიდარი საქართველო, ძლიერი ოჯახი - უნდა განახორციელოს.

ჩვენი ხედვით მდიდარ საქართველოში:

- ოჯახის წევრებს დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის, დასვენებისა და გართობის სრული შესაძლებლობა აქვთ, მომავალი ოპტიმისტური, იმედიანი და პერსპექტიულია.
- ბავშვების ჰარმონიული განვითარების უფლება დაცულია, მათთვის შიმშილი და გაჭირვება უცხოა.
- მოსწავლეებს კვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი მასწავლებლები ჰყავთ და ისინი დასავლური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლობენ; სკოლას ბავშვის განვითარებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგია, ლაბორატორიები და მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს; მოზარდის თავისუფალ, აქტიურ, პასუხისმგებლობისა და პერსპექტივის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბისთვის ყველა შესაძლებლობაა შექმნილი; სკოლა და ქვეყანა ქუჩური გარჩევების, დანებისა და ცეცხლსასროლი იარაღისგან თავისუფალია.
- სტუდენტები მაღალი ხარისხის განათლებას იღებენ, თანამედროვე ლაბორატორიებითა და ტექნოლოგიებით სარგებლობენ, ჩართულნი არიან საერთაშორისო კვლევებში, ყოველდღიურად სწავლის საფასურზე არ ფიქრობენ; ახალგაზრდები, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, მეგობრებთან უსაფრთხო გარემოში ურთიერთობენ და უსახსრობის გამო თანატოლების დაპატიჟებას არ ერიდებიან, პერსპექტივისა და საკუთარი ნიჭის რეალიზების გზების ძიებაში სხვა ქვეყნებში არ გარბიან, მათ ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის არ ეშინიათ.
- მშობლებს კარგი სამსახური აქვთ, სხვა ქვეყანაში მძიმე სამუშაოს ძიება არ უწევთ, შვილების ქუჩაში გაშვების არ ეშინიათ; ისინი ოჯახისა და ბავშვების პერსპექტივებზე ფიქრობენ და არა ყოველდღიური საკვების, მედიკამენტებისა და ტანსაცმლის შოვნაზე.
- პენსიონერებს ღირსეული პენსია აქვთ, კვალიფიციური ექიმები მათზე ზრუნავენ; მათთვის მედიკამენტები და ჯანდაცვის სერვისი ხელმისაწვდომია; ისინი საკუთარი ოჯახების წარმატებითა და ბედნიერებით ტკბებიან; მოხუცებს არ აქვთ განცდა, რომ შვილებსა და შვილიშვილებს ტვირთად აწვებიან.

- » ხელისუფლება მოქალაქეების ცხოვრებაში არ იჭრება, ადამიანის თავისუფლებას, პირად ცხოვრებას, კანონის უზენაესობასა და სამართლიანობას განუხრელად იცავს; კერძო საკუთრება დაცულია და თავისუფალი მეწარმე წნეხს არ განიცდის; ოჯახების უსაფრთხოება და სიმშვიდე უზრუნველყოფილია.
- » წარმატების შესაძლებლობა ყველას თანაბრად აქვს, პრივილეგირებული, გაბატონებული კლანები და ჯგუფები არ არსებობენ, ნეპოტიზმი და მექრთამეობა მიუღებელია.
- » ხელისუფლება გამაერთიანებელია და არა გამყოფი, დაპირისპირებისა და შუღლის გამღვივებელი; ის თანაბრად ზრუნავს მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებზე, თანამოაზრეებსა და ოპონენტებზე.
- » ოპოზიცია ძლიერია და ხელისუფლებას ეფექტურად აკონტროლებს; კრიტიკა მტრობად არ აღიქმება, განსხვავებული აზრი და მრავალფეროვნება წახალისებულია.
- » ხელისუფლებაში ყოფნა პასუხისმგებლობაა და არა პრივილეგია. ხელისუფლება ამ პასუხისმგებლობას არ გაურბის და ჩავარდნების სხვაზე გადაბრალებას არ ცდილობს; ის ხალხს ემსახურება და არა პირიქით.

მდიდარი საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ევრო-ატლანტიკური ოჯახის განუყოფელი წევრი, ერთიანი და მშვიდობიანი სახელმწიფოა, რადგან მშვიდობის გარეშე ვერცერთი ის გარემოება, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ვერ იარსებებს.

საქართველოში, ერთხელ და სამუდამოდ, სამართლიანობის შეუქცევადობის ყოვლისმომცველი განცდა უნდა დამკვიდრდეს. ჩვენ ეს გამოცდილება უკვე მივიღეთ და მასზე დაყრდნობით უნდა ვისწავლოთ.

9 ნაბიჯი სამართლიანობისკენ:

იმ სფეროებში, რომლებშიც ზედმეტად ხისტი პოლიტიკის, ზოგჯერ მნიშვნელოვანი ხარვეზებისა და შეცდომების, ან სათანადო პოლიტიკური ნების უქონლობის გამო სამართლიანი კრიტიკა დავიმსახურეთ, აუცილებლად შემდეგ რადიკალურ ცვლილებებს გავატარებთ:

1. პოლიცია, როგორც საპატრულო, ისე კრიმინალური, სრულად დეპოლიტიზებული იქნება.
2. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გამოეყოფა.
3. პროკურატურა ორ უწყებად გაიყოფა: შეიქმნება ზოგადი პროკურატურა და სამოხელეო საქმეთა პროკურატურა.
4. სასამართლო ექსპერტიზის ბიურო დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდება.

» **ეს უწყებები იქნება დამოუკიდბელი და მათი ხელმძღვანელები სამოქალაქო სექტორიდან დასახელებული კანდიდატებისგან შეირჩევა და მათი დამტკიცებისთვის საპარლამენტო ოპოზიციის არანაკლებ ერთი მესამედის თანხმობა იქნება აუცილებელი.**

5. სახალხო დამცველი და ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე შეირჩევა ოპოზიციის მიერ.
6. სუს-ი გაუქმდება - სახელმწიფო უწყებების პოლიტიკური ნიშნით გამოყენებაზე მცირე კითხვის ნიშნებიც აღარ უნდა არსებობდეს. ეს მტკივნეული თემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავხუროთ და წარსულს ჩავაბაროთ. პოლიტიკური პოლიცია საქართველოში აღარ იარსებებს. კონტრდაზვერვის და ანტიტერორისტული სამსახურები გადაინაცვლებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.
7. ე.წ. „მოსმენის გასაღები“ დამოუკიდებელ სასამართლოს გადაეცემა და სახალხო დამცველს სრული და შეუზღუდავი მონიტორინგის უფლება მიენიჭება.
8. ფინანსური პოლიცია უნდა გაუქმდეს. თავისუფალი მეწარმეებისა და ბიზნესმენების მაკონტროლებელი ძალოვანი, იარაღიანი, სამართალდამცავი სტრუქტურა არ გვჭირდება. მოხდება საგადასახადო დანაშულების უმრავლესობის დეკრიმნალიზაცია, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება და სასჯელი, გამოირიცხება.
9. სასამართლო რეფორმის ჩავარდნა ჩვენთვის მწარე გაკვეთილი გამოდგა. ჩვენ მიერ შერჩეულმა მართულმა მოსამართლეებმა ჩვენივე პოლიტიკური დევნა დაიწყეს. რეფორმა ფართო პოლიტიკური კონსენსუსით უნდა ჩატარდეს. ის შეთანხმებები, რომლებსაც პოლიტიკურ პარტიებთან საჯარო და გამჭვირვალე განხილვების შედეგად მივაღწიეთ, მათ შორის: უცხოელი მოსამართლეების ზედა ინსტანციებში გამწესება, მოსამართლეთა არჩევითობა, კომერციული დავებისთვის ცალკე სისტემის შექმნა, ნაფიც მსაჯულთა სასამრთლოს კომპეტენციის გაფართოება, იუსტიციის საბჭოს რეფორმა, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა და სხვა უნდა შესრულდეს.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, უნდა შევთანხმდეთ საქართველოს განვითარების ფუნდამენტურ ფასეულობებსა და პრინციპებზე. ყველა, ვისაც ქვეყნის აღმშენებლობის საინტერესო და საამაყო პროცესში მონაწილეობის სურვილი და ნება ექნება, თავის ადგილს აუცილებლად იპოვის.

ღრმად გვწამს, რომ ჩვენ ერთად ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას შევძლებთ. ჩვენ შეიძლება განსხვავებული პოლიტიკური პოზიციები გვქონდეს, მაგრამ ყველანი ერთი სამშობლოს შვილები ვართ და ერთი ისტორიული მიზანი გვაქვს - საქართველო ბედნიერი ადამიანების სახელმწიფოდ უნდა ვაქციოთ.

იპოვე შენი თავი

მთავარ გეგმაში

ყველა ოჯახს

- 300 000 ახალი სამუშაო ადგილი
- 2000 ლარი - საშუალო ხელფასი
- მეტი, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვა - მედიკამენტების ფასების განახევრება, უფასო გამოკვლევები და საყოველთაო ჯანდაცვის გაუმჯობესებული სერვისები
- გაორმაგებული დაფინანსება ბავშვების განათლებისთვის
- საშემოსავლო გადასახადის გაუქმება - მეტი ფული ოჯახებს

ბავშვებსა და სტუდენტებს

- 1500-ლარიანი სკოლამდელი განათლების ვაუჩერი - გაზრდილი დაფინანსება
- 2000-ლარიანი სასკოლო ვაუჩერი - გასამმაგებული დაფინანსება
- 4500-ლარიანი სახელმწიფო გრანტი - გაორმაგებული დაფინანსება
- 100%-იან სახელმწიფო გრანტს მიიღებს სამჯერ მეტი სტუდენტი
- 1000 ლარი მესამე და ყოველ შემდგომ ახალშობილზე

პენსიონერებს

- პენსია 400 ლარი და მეტი
- უსახლკაროდ დარჩენილი პენსიორებისთვის, თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ევროპული სტანდარტის სათემო სახლების შექმნა

სოციალურად დაუცველ ოჯახებს

- 200 000-მდე ქულის მქონე ყველა ოჯახის თითოეულ წევრს 100 ლარიანი დახმარება
- დასაქმებიდან ორი წლის განმავლობაში ყველა სოციალურად დაუცველს შეუნარჩუნდება დახმარება
- სრულად დაუფინანსდებათ ჯანდაცვა და განათლება

დევნილებს

- ფულადი დახმარება გახდება 200 ლარი
- ხელისუფლებაში მოსვლიდან 12 თვეში ყველა დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა

ომის ვეტერანებსა და შშმ პირებს

- ომის ვეტერანების დახმარება გახდება 200 ლარი
- შშმ პირების სრულფასოვანი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ საჭიროებებზე ადაპტირებული საჯარო ინფრასტრუქტურა

ეკონომიკა და ინვესტიციები

- დაბალი, ევროპული საბანკო საპროცენტო განაკვეთი და სტაბილური ფასები - 10 მილიარდი დოლარის უცხოური ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში
- 300 ათასი ახალი სამუშაო ადგილი
- ქალაქი ლაზიკა - 3.5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია, თავისუფალი ეკონომიკური ზონა და მულტისავალუტო რეჟიმი
- თავისუფალი სასამართლოთი და კანონით გარანტირებული საკუთრების უფლება

* საბიუჯეტო დასაბუთება იხილეთ ფისკალურ გეგმაში - გვერდი 36

საგადასახადო რეფორმა

- საქართველო ერთი გადასახადის ქვეყანა ევროპაში - საშემოსავლო, მოგების და დივიდენდის გადასახადები გაუქმდება
- ყველაზე მარტივი საგადასახადო სისტემა ევროპაში - საგადასახადო კოდექსის 2/3 გაუქმდება

ტექნოლოგიური მთავრობა

- საქართველო - ევროპაში ყველაზე მცირე ზომის გამჭვირვალე ელექტრონული საჯარო მმართველობის მქონე ქვეყანა
- ბიუროკრატიული პროცედურებისგან დაცლილი, სწრაფი, მოქალაქეზე ორიენტირებული სახელმწიფო სერვისები - მსგავსად იუსტიციის სახლებისა
- კორუფცია - 0!

ოჯახების უსაფრთხოება

- პროკურატურის ხელმძღვანელების შერჩევა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის სრულფასოვანი თანამონაწილეობით, კონსესუსის გზით
- ყველა პოლიციელისა და სამხედროსთვის - ხელფასების ზრდა
- ყველა მუნიციპალიტეტში, პირდაპირი წესით, ოთხი წლის ვადით, აირჩევა შერიფი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და წვრილმან დანაშაულთან ბრძოლას

ადამიანის უფლებები

- პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე იქნება ოპოზიციური პარტიიდან
- დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც გამოიძიებს სამართალდამცავების მიერ ჩადენილ დანაშაულებს
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მყარი გარანტიები
- სახალხო დამცველი დამტკიცდება საპარლამენტო ოპოზიციის მიერ

დამოუკიდებელი სასამართლო

- სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში - უცხოელი მოსამართლეები
- პირველი ინსტანციის მოსამართლეების არჩევითობა
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მანდატის გაფართოება

სოფლის მეურნეობა

- მდიდარი სოფელი - თანამედროვე ცოდნა და ტექნოლოგია სოფლის მეურნეობაში
- 100 სოფლის სახლი - ყველა მომსახურება ერთ სივრცეში: რეალიზაცია, სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობა, ლაბორატორია, აგრონომების და ვეტექიმების მომსახურება, პროფესიული განათლების ცენტრი
- მიწის საკუთრებაში გადაცემა და უფასო რეგისტრაცია, საძოვარი სოფელს

განათლება

- 2000 ლარი და მეტი - ხელფასი პედაგოგებს
- დაინერგება ამერიკული და ევროპული საგანმანათლებლო პროგრამები
- უცხოეთში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის დაფინანსება მსოფლიოს ტოპ 100 უნივერსიტეტში

კულტურა

- 20%-ით ხელფასების ზრდა პირველივე წელს
- 100 მილიონიანი კულტურის განვითარების ეროვნული ფონდის შექმნა
- 500 მილიონი ლარის მოზიდვა საქართველოში საერთაშორისო კინოინდუსტრიის განვითარებისთვის

სარჩევი

ადამიანის მზრუნველობასა და განვითარებაზე ორიენტირებული სამართლიანი სოციალური პოლიტიკა

ოჯახების ეკონომიკური გაძლირების გეგმა 8
სოციალური მხარდაჭერა 9
ბავშვები 10
პენსიონერები 11
დევნილები 12
ჯანდაცვა 13

საქართველო - შესაძლებლობების ქვეყანა ევროპაში

ეკონომიკა 15
მთავრობა სმარტფონში 16
განათლება 18
კულტურა 20
სოფლის მეურნეობა 21

ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტები ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის

სასამართლო 24
ადამიანის უფლებები 25
საზოგადოებრივი უსაფრთხოება 26
საგარეო პოლიტიკა 27
თავდაცვა და უსაფრთხოება 28

სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტები - ეკონომიკური მიზიდულობის ახალი ცენტრები

ქალაქი ლაზიკა 30
მაღალი სიჩქარის მატარებელი 31
გამდიდრების გზა 32
განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება 33
ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება 34

მთავარი გეგმის ფისკალური დასაბუთება

პასუხისმგებლიანი ფისკალური გეგმა 36

ადამიანის მზრუნველობასა და განვითარებაზე ორიენტირებული სამართლიანი სოციალური პოლიტიკა

მთავარი გეგმით გათვალისწინებული სოციალური რეფორმის მიზანი ადამიანის განვითარებასა და ღირსეულ ცხოვრებაზე მზრუნველი სახელმწიფოს მშენებლობაა

ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების გეგმა

ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების 5-პუნქტიანი გეგმა

მთავარი გეგმის მიზანია, სწრაფად გაიზარდოს ეკონომიკურად ძლიერი ოჯახების რაოდენობა ქვეყანაში. ოჯახებს უნდა მივცეთ მეტი ფული და შესაძლებლობები, კეთილდღეობის ზრდის, განვითარებისა და წარმატებისთვის.

COVID-19 პანდემიამ კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაგვანახა, რომ დღეს საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს ფინანსურად ძლიერი ოჯახები. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღარიბია და ერთეულები არიან მდიდრები, მოსახლეობის მხოლოდ 5%-ის შემოსავალი აღემატება 1 200 ლარს.

2003 წლიდან 2012 წლამდე საქართველოში საშუალო ხელფასი 126 ლარიდან 6-ჯერ გაიზარდა და 712 ლარი გახდა. სწრაფი რეფორმებით მიღწეული ეკონომიკური ზრდის შედეგი მოსახლეობის დიდმა ჯგუფმა საკუთარი ოჯახის შემოსავლების ზრდაზე იგრძნო. მიუხედავად ამისა, სიღარიბის დაძლევა მთავარ გამოწვევად დარჩა და დღეს ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბება რეფორმების გაჩერებით მნიშვნელოვნად შეფერხდა.

ჩვენი გეგმის მთავარი მისია არის ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება - კეთილდღეობა ყველას და არა ერთეულებს!

1. შვილებს

- ბაღის აღსაზრდელებს: სკოლამდელი განათლების 1500-ლარიანი ვაუჩერი
- ბავშვების სასკოლო განათლების დაფინანსება გასამმაგდება: სკოლის მოსწავლეებს, ყოველწლიური 2000-ლარიანი სასკოლო ვაუჩერი რომელსაც მშობელი გამოიყენებს, როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლაში
- უფასო სადილი - საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეს
- სტუდენტებისთვის განათლების დაფინანსება გაორმაგდება - 4500-ლარიანი ყოველწლიური სახელმწიფო გრანტი

2. ჯანმრთელი ოჯახი

- ოჯახის თითოეული წევრისთვის - მედიკამენტების ფასების განახევრება, სრული პროფილაქტიკური კვლევები და საყოველთაო ჯანდაცვის გაუმჯობესებული სერვისები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 400-ლარიანი კერძო პრემიუმ დაზღვევით

3. დასაქმებულებს

- გაუქმდება საშემოსავლო გადასახადი - დასაქმებულს ხელფასიდან აღარ ჩამოეჭრება 20%. მას მეტი თანხა დარჩება და შეძლებს, უკეთ იზრუნოს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე
- ჩვენი რეფორმების შედეგად, ხელფასები იქნება ყოველწლიურად მზარდი და საქართველოში არსებული საშუალო ხელფასი 2000 ლარამდე გაიზრდება
- დაბალი, ევროპული საბანკო საპროცენტო განაკვეთი და სტაბილური ფასები

4. სამსახურის მაძიებლებს

- 300 ათასი ახალი სამუშაო ადგილი ეკონომიკური რეფორმებით ქვეყანაში, დამატებით შემოსული 10 მილიარდი დოლარის შედეგი

5. პენსიონერებს

- პენსია - 400 ლარი
- უზრუნველყოფილი ჯანდაცვა - მედიკამენტების ფასების განახევრება და უფასო გამოკვლევები

სოციალური მხარდაჭერა

სამართლიანი სოციალური მხარდაჭერა

მთავარი გეგმით გათვალისწინებული სოციალური მხარდაჭერის რეფორმის მიზანია, სიღარიბიდან ამოიყვანოს ოჯახები და ამ გზით ხელი შეუწყოს ქვეყანაში ფინანსურად ძლიერი და წარმატებული ოჯახების ჩამოყალიბებას.

დღეს სოციალურად დაუცველის სტატუსი მინიჭებული აქვს და დახმარებას იღებს ჩვენი ქვეყნის 475 000 მოქალაქე - მხოლოდ ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 100 000-ს შეადგენს, თუმცა ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიღარიბის გამო 1 მილიონ ადამიანს, ანუ ყოველ მეოთხე ადამიანს, ქვეყანაში აქვს განაცხადი გაკეთებული სოციალური დახმარების მიღების თაობაზე და შესაბამის ბაზაშია რეგისტრირებული.

დღეს არსებული სოციალური პოლიტიკა არ არის ორიენტირებული ადამიანის სიღარიბიდან ამოყვანაზე და უფრო მეტიც, უბიძგებს მას სიღარიბეში დარჩენისკენ. დღეს არსებული სისტემით ადამიანები, ერთჯერადად დასაქმების შემთხვევაშიც კი, კარგავენ სოციალურ დახმარებას. დახმარების დაკარგვის შიშით ადამიანებს არ უნდა უწევდეთ სამსახურზე უარის თქმა.

ადამიანის ღირსეულ ცხოვრებაზე მზრუნველი სახელმწიფოს მშენებლობისთვის მნიშვნელოვანია ადამიანების სიღარიბიდან ამოყვანაზე, მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული, სამართლიანი სოციალური პოლიტიკის შემუშავება.

600 მილიონი ლარი

სოციალური მხარდაჭერის პროგრამის გაორმაგებისთვის

ჩვენი გეგმით:

- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებს დასაქმებიდან ერთი წლის განმავლობაში შევუნარჩუნებთ სახელმწიფო დახმარებას, რათა მათ ჰქონდეთ ფინანსური სტაბილურობის განცდა, შეძლონ ფეხზე მყარად დადგომა და საკუთარ ოჯახზე ზრუნვა;
- სოციალური დახმარების მიმღებთა სარეიტინგო ქულას გავზრდით 200 000-მდე და შედეგად გავაორმაგებთ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობას (დახმარებას მიიღებს 1 მილიონი ადამიანი);
- სოციალურ დახმარებას მიიღებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა ის პირი, დევნილი და ომის ვეტერანი, რომლებიც სოციალურ ბაზაშია რეგისტრირებული და ვისი სარეიტინგო ქულაც ნაკლებია 200 000-ზე.
- მეტი, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვა - 400-ლარიან, კერძო, პრემიუმხარისხის სადაზღვევო ვაუჩერს გადავცემთ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე თითოეულ ადამიანს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, დევნილებსა და ომის ვეტერანებს.

ბავშვები

ბავშვებზე მზრუნველობა - ინვესტიცია წარმატებულ მომავალში

მთავარი გეგმით გათვალისწინებული ბავშვზე ზრუნვის მიზანი საქართველოში არსებული სიღარიბის პრობლემის ერთხელ და საბოლოოდ დაძლევაა.

PISA-ს საერთაშორისო კვლევების თანახმად, მსოფლიოს 77 ქვეყნიდან, ზოგადი განათლების ხარისხის მიხედვით, საქართველო 69-ე პოზიციაზეა - ბოლო ათეულში მერვე ადგილს იკავებს. საქართველოში ასევე გვყავს 12 000 ბავშვი, რომელიც განათლების მიღებასა და სკოლაში სიარულს ვერ ახერხებს განათლების უხარისხო სისტემა და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები ნიშნავს წარმატების და ბედნიერად ცხოვრების შესაძლებლობის წართმევას.

ქვეყანას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბავშვებს საკვებით, სამედიცინო სერვისებითა და განათლებით, მომავალი არ აქვს.

ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და განვითარების ყველაზე ეფექტიანი გზა ბავშვებზე, ჩვენს მომავალზე, ზრუნვა, მათ განათლებასა და ჯანმრთელობაში ინვესტირებაა.

150 მილიონი ლარი

ბავშვებში შიმშილის დასამარცხებლად

ჩვენი გეგმით:

- ჯანმრთელობის 400-ლარიანი, კერძო, პრემიუმხარისხის ყოველწლიური სადაზღვევო ვაუჩერი გადაეცემა თითოეულ ოჯახს თითოეული ბავშვისთვის, რათა იზრუნონ საკუთარი შვილების ჯანმრთელობაზე;
- გაორმაგდება ბავშვების განათლების დაფინანსება და 2000-ლარიანი ყოველწლიური სასკოლო ვაუჩერი გადაეცემა სკოლის თითოეულ მოსწავლეს;
- 1500-ლარიანი სკოლამდელი განათლების ვაუჩერი ბაღის აღსამზრდელებს;
- 1000 ლარი მესამე და ყოველ შემდგომ ახალშობილზე (გარდა მაღალშემოსავლიანი ოჯახებისა);
- უფასო სადილი - საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეს.
- გაიხსნება ბავშვთა თანამედროვე ონკოლოგიური ცენტრითანამედროვე ტექნოლოგიებითა და მაღალი კლასის სპეციალისტებით, სადაც მკურნალობა იქნება უფასო.
- შეიქმნება ბავშვთა მხარდაჭერის ძლიერი სისტემა: მულტიდისციპლინური მიდგომის ფარგლებში ყველა უწყების პრიორიტეტი ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა იქნება. გაძლიერდება სოციალური მუშაკის სტატუსი; ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მოძალადისგან განცალკევებისთვის შეიქმნება მცირე, ოჯახური ტიპის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებები, სადაც ბავშვი, იდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ყველა საჭირო სახელმწიფო სერვისით ისარგებლებს.

პენსიონერები

ღირსეული და ხანგრძლივი ცხოვრება პენსიონერებს

მთავარი გეგმის პენსიონერებზე მზრუნველობის პროგრამის მიზანია, ხანდაზმულებისთვის ევროპული სტანდარტის, ღირსეული და ხანგრძლივი ცხოვრების უზრუნველყოფა.

უკიდურესი გაჭირვებისა და გაუსაძლისი პირობების შედეგად საქართველოში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, 10 წლით ნაკლებია. პანდემიით გამოწვეულ კრიზისამდე სოციალურად დაუცველის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა და სახელმწიფო დახმარებას იღებდა 75 000 პენსიონერი. თუმცა, ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიღარიბის გამო გაცილებით მეტი პენსიონერი საჭიროებს სახელმწიფო დახმარებას. სოციალური დახმარების მიღებაზე განაცხადი გაკეთებული აქვს და შესაბამის ბაზაში რეგისტრირებულია დამატებით 125 000 პენსიონერი.

ევროპაში საპენსიო ასაკი ცხოვრების ერთ-ერთი საინტერესო ეტაპია, ადამიანები მოგზაურობენ, სტუმრობენ მათთვის შექმნილ სოციალიზაციის სივრცეებს (კლუბებს, მოხუცთა სახლებს და სხვ.). საქართველოში კი პენსიონერების უმრავლესობა კვლავ ყოფითი პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგას და, რაც ყველაზე მთავარია, სრულიად მარტო.

450 მილიონი ლარი

პენსიების ზრდისთვის

ჩვენი გეგმით:

- პენსიის მოცულობა 220 ლარიდან პირველივე წელს 300 ლარამდე, ხოლო მომდევნო ეტაპზე 400 ლარი და მეტი გაიზრდება;
- სოციალურ დახმარებას ნაცვლად 75 000 პენსიონერისა მიიღებს საპენსიო ასაკის 200 000 ხანდაზმული;
- ყველა პენსიონერი მიიღებს 400-ლარიან, კერძო, პრემიუმ ხარისხის სადაზღვევო ვაუჩერს, რომლითაც მათ დაუფინანსდებათ მედიკამენტების, მინიმუმ, 50%;
- უსახლკაროდ დარჩენილი პენსიონერებისთვის თვითმმართველობებთან თანამშრომლობით ევროპული სტანდარტის სათემო სახლები შეიქმნება.

ფოტო: ნინო ალავიძე

დევნილები

უსაფრთხო და მშვიდობიანად დაბრუნების და ეკონომიკურად გაძლიერების პოლიტიკა დევნილებისთის

ჩვენი მიზანია ერთიანი, თავისუფალი, ძლიერი საქართველო, ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობით, დევნილი საზოგადოების შენარჩუნება, რაც გულისხმობს ინტეგრაციას, მათ მშვიდობიან და ღირსეულ დაბრუნება საკუთარ სახლებში. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დევნილებს მიეცეთ საშუალება აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ საკითხების გადაწყვეტაში.

150 მილიონი ლარი

დევნილების ფულადი მხარდაჭერისთვის

ჩვენი გეგმით:

- » დევნილების დახმარება პირველივე წელს გახდება 100 ლარი, ხოლო მომდევნო ეტაპზე გახდება 200 ლარი და მეტი
- » ხელისუფლებაში მოსვლიდან 12 თვეში ყველა დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- » ლაზიკას მშენებლობისას გათვალისწინებული იქნება დევნილთა დასაქმება და საცხოვრებლების მშენებლობა;
- » დევნილებს აღუდგებათ უფლება, აირჩიონ და თავად იყვნენ არჩეულნი ადგილობრივ წარმომადგენლობით სტრუქტურებში;
- » ლეგიტიმური სტრუქტურების საქმიანობა და ბიუჯტი იქნება გამჭვირვალე და მოხმარდება დევნილი საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანდაცვით და საგანმანათლებლო პროგრამებს;
- » დასრულდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა უძრავი ქონების აღწერა და მოხდება ამ ქონების საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაცია მემკვიდრეობის უფლებით (გასხვისების უფლების გარეშე);
- » ავამუშავებთ ყველა სამართლებრივ მექანიზმს რუსეთის მიერ განხორციელებული ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა წინააღმდეგ;
- » გამოვიყენებთ ყველა არსებულ საერთაშორისო საშულებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებების, მათ შორის განათლების და კულტურული და რელიგიური უფლებების, დასაცავად;
- » ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აბიტურიენტებს, რომლებიც ჩააბარებენ საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გადასახადთან ერთად დაუფინანსდებათ საცხოვრებლის ხარჯები;
- » ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად დაღუპულებს გავუთანაბრებთ ომის მონაწილეებს.

ჯანდაცვა

ჯანმრთელი ადამიანი - ხანგრძლივ სიცოცხლეზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემა

მთავარი გეგმით გათვალისწინებული ჯანდაცვის რეფორმის მიზანია, შეიქმნას დაავადების პრევენციასა და მოსახლეობის ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეზე ორიენტირებული ჯანდაცვის ეროვნული სისტემა.

ჯანდაცვის ეროვნულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლება, ჰქონდეს დროული, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ჯანდაცვის არაეფექტიანი სისტემისა და სოციალური უსამართლობის შედეგად ადმიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, 10 წლით ნაკლებია. სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი ბავშვებში ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატება.

ჯანდაცვის ეროვნული სისტემის პრიორიტეტი გახდება პრევენციასა და ხარისხზე ორიენტირებული ჯანდაცვა - უსაფრთხო, ეფექტიანი და ეფექტური სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებით ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია; ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა.

500 მილიონი ლარი

სახელმწიფო ინვესტიცია ადამიანების ჯანმრთელობაში

ჩვენი გეგმით:

- **მედიკამენტების ფასები განახევრდება; სულ მცირე, წელიწადში ერთხელ სრულყოფილი პროფილაქტიკური კვლევა, საყოველთაო ჯანდაცვის გაუმჯობესებული სერვისი უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 400-ლარიანი კერძო პრემიუმ დაზღვევით - ყველასთვის, ვინც სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის სისტემით;**
- **მედპერსონალის ხელფასები გაორმაგდება;**
- **პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების, ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგება კერძო საექიმო პრაქტიკა;**
- **გაიზრდება სახელმწიფო ონკოლოგიური პროგრამების დაფინანსება და გაიხსნება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და მაღალი კლასის სპეციალისტებით დაკომპლექტებული რეგიონული მასშტაბის ონკოლოგიური ცენტრი;**
- **3 მილიარდი ლარი სამედიცინო ტურიზმიდან ჯანდაცვის სექტორში - საქართველოში სამკურნალოდ მეტი პაციენტის შემოსვლა ნიშნავს მეტი ფინანსური რესურსის გაჩენას კლინიკებისთვის, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ჯანდაცვის ტექნოლოგიური და თანამედროვე სისტემის ფორმირებას და ჯანდაცვის სექტორში მომუშავე პირებისთვის მნიშვნელოვნად გაზრდილ ხელფასებს.**

საქართველო - შესაძლებლობების ქვეყანა ევროპაში

სწრაფი ეკონომიკური განვითარება ერთადერთი გზაა საქართველოში სიღარიბის დასამარცხებლად. იმისთვის, რომ საქართველომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეძლოს, ქვეყანამ თამამი და თანამედროვე რეფორმებით, მსოფლიოს მკაფიო გზავნილი უნდა გაუგზავნოს: „საქართველო შესაძლებლობების ქვეყანაა ევროპაში“.

ეკონომიკა

საქართველო გადხება ერთი გადასახადის ქვეყანა ევროპაში

მთავარი გეგმით გათვალისწინებული საგადასახადო რეფორმის შედეგად ევროპის საგადასახადო სისტემის ახალი ერა საქართველოდან დაიწყება - საქართველო გახდება ევროპაში პირველი ქვეყანა ერთი გადასახადით, მოგების, საშემოსავლოსა და დივიდენდის გადასახადების გარეშე.

2004 წელს დაწყებული საგადასახადო რეფორმით საქართველომ 21 გადასახადიდან მხოლოდ 6 დატოვა და საგადასახადო მიმზიდველობით გაუთანაბრდა ევროპის ქვეყნებს. ამ რეფორმამ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გადასახადების ადმინისტრირების ეფექტიანი სისტემის დანერგვის შედეგად, მიუხედავად გადასახადების შემცირებისა, გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები. დღეს მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს საგადასახადო რეფორმა და საქართველოს ჰქონდეს ევროპაში ყველაზე მარტივი და დაბალი საგადასახადო წნეხის მქონე საგადასახადო სისტემა.

სწრაფი რეფორმების შედეგად განვითარებული სამყაროსთვის საქართველო გახდება შესაძლებლობების ქვეყანა, ინვესტიციების განხორციელებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ახალი ცენტრი.

700 მილიონი ლარი

სახელმწიფო ინვესტიცია საგადასახადო რეფორმის დასაფინანსებლად

ჩვენი გეგმით:

- გაუქმდება საშემოსავლო და მოგების გადასახადი - ფისკალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად გადასახადები გაუქმდება ეტაპობრივად და ყოველწლიურად დაიკლებს 5-5%-ით;
- საგადასახადო პროცედურები მაქსიმალურად გამარტივდება, საგადასახადო კოდექსის 2/3 გაუქმდება;
- ეკონომიკური და საგადასახადო გადაცდომებისთვის აღარ იქნება გათვალისწინებული პატიმრობა და სისხლის სამართლებრივი დევნა;
- ფინანსური პოლიცია გაუქმდება;
- არბიტრაჟის, მათ შორის, უცხოური არბიტრაჟის როლი გაიზრდება საგადასახადო დავებში;
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაფორმდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

რეფორმის შედეგად:

- 2000 ლარამდე გაიზრდება (გაორმაგდება) საქართველოში არსებული საშუალო ხელფასი. საშემოსავლო გადასახადის გაუქმების შედეგად ყოველთვიურად თითოეულ დასაქმებულს კუთვნილი ხელფასიდან აღარ ჩამოეჭრება 20% და შეძლებს, უკეთ იზრუნოს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე;
- 10 მილიარდი ინვესტიციის და ფუნდამენტური რეფორმების შედეგად შეიქმნება 300 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, მივიღებთ სესხის დაბალ პროცენტს, მყარ ლარს და სტაბილურ ფასებს;
- აღმოიფხვრება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის არსებული დავების უმრავლესობა და შეიქმნება ბიზნესსაქმიანობისთვის სამართლიანი, მარტივი და დაცული გარემო;
- საგადასახადო წნეხი არსებული 26%-იდან შემცირდება 15%-მდე, რაც ევროპისთვის საუკეთესო, ხოლო მსოფლიოსთვის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. მსოფლიო მასშტაბით გაიზრდება ქვეყნის საინვესტიციო რეპუტაცია და მიმზიდველობა, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას

მთავრობა სმარტფონში

საქართველო - ევროპაში ყველაზე გამჭვირვალე ელექტრონული საჯარო მმართველობა

მთავარი გეგმით გათვალისწინებული ტექნოლოგიური მთავრობის რეფორმის შედეგად საქართველოს ეყოლება თანამედროვე, გამჭვირვალე და ადამიანის საჭიროებებზე მორგებული ტექნოლოგიური მთავრობა.

საქართველო იქნება ყველაზე მცირე ზომის მთავრობის მქონე ქვეყანა ევროპაში, რომელიც მოსახლეობისა და ბიზნესის საჭიროებებს გამარტივებული საჯარო სერვისებით მართავს - მინიმუმამდე დაყვანილი ბიუროკრატიული მექანიზმებითა და კორუფციის რისკებით.

სახელმწიფო ინვესტიცია, გამჭვირვალე და ტექნოლოგიურ მთავრობაში, ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური ბიზნესების სწრაფ განვითარებას და ჩვენც, ისევე, როგორც ეს შეძლეს ესტონეთმა და სხვა ქვეყნებმა, ვიქნებით მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო, ტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებაში.

> საქართველოს აქვს მცირე ზომის, გამჭვირვალე და ტექნოლოგიური მთავრობის ფორმირების წარმატებული მაგალითები, როგორებიცაა: იუსტიციის სახლები, საპატრულო და საბაჟო სტრუქტურები. საჭიროა ამ რეფორმების გაგრძელება, მეტი სახელმწიფო სერვისის ელექტრონიზაცია და გამჭვირვალე საჯარო მმართველობის ჩამოყალიბება.

ჩვენ მოვახდენთ მთელი ეკონომიკური სექტორის დიგიტალიზაციას (გაციფრულებას), რაც გულისხმობს: მსოფლიო ციფრულ ბაზარზე სწრაფ ინტეგრაციას, სტარტაპ ეკოსისტემის ჩამოყალიბებას და ინტენსიურ განვითარებას, ბიზნესისთვის აუცილებელი კიბერუსაფრთხო და კომფორტული სამართლებრივი გარემოს შექმნას.

1 მილიარდი ლარი

სახელმწიფო ინვესტიცია გამჭვირვალე და ტექნოლოგიურ მთავრობაში

ჩვენი გეგმით:

საქართველო გახდება რეგიონის „სილიკონ ველი“

რეფორმის შედეგად სახელმწიფო 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 1 მილიარდ ლარს გამოყოფს. სახელმწიფოს ფინანსური რესურსითა და დონორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით რეფორმის განხორციელებისთვის საჭირო ტექნოლოგიურ სერვისებს შექმნიან როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტექნოლოგიური ორგანიზაციები. ქვეყანაში გაიზრდება ტექნოლოგიების ცოდნის ხარისხი, გაჩნდება ახალი, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური კომპანიები. შედეგად საქართველო გახდება რეგიონის „სილიკონ ველი“.

საქართველო - ევროპაში ყველაზე მცირე მთავრობის მქონე ქვეყანა

დღეს საქართველოს მთავრობა 20 მილიარდამდე ლარს, მთლიანი ეკონომიკის მესამედზე მეტს, მოიხმარს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს მთავრობა, ხარჯთეფექტიანობის მიხედვით, 69-ე ადგილზეა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მესამედს საქართველოს მთავრობა არაეფექტიანად ხარჯავს.

მთავარი გეგმით გათვალისწინებული მცირე და ეფექტური მთავრობის რეფორმა მომდევნო 4 წლის განმავლობაში გულისხმობს, ეკონომიკაში მთავრობის ხარჯების წილის 25%-მდე შემცირებას და ეფექტიანი ხარჯვითი სისტემების დანერგვას. პარალელურად მთავრობის სერვისების ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლა შეამცირებს საბიუჯეტო ხარჯებს.

მარტივი და ელექტრონული საგადასახადო სისტემა

გადასახადების შემცირების პარალელურად ქვეყანაში დაინერგება გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებული და სრულად ელექტრონიზებული სისტემა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გადასახადების ადმინისტრირების საათობრივი მაჩვენებლის მსოფლიო რეიტინგში საქართველო 106-ე ადგილს იკავებს და საშუალოდ 216 საათს ხარჯავს. მაგალითისთვის, ესტონეთს ყოველწლიური გადასახადების ადმინისტრირებისთვის საქართველოზე 4-ჯერ ნაკლები დრო, 56 საათი სჭირდება.

ვირტუალური საქართველო

ტექნოლოგიური მთავრობის რეფორმის ფარგლებში შექმნილი პლატფორმების გამოყენებით უცხოური კომპანიები საქართველოში ჩამოსვლის გარეშე დაარეგისტრირებენ კომპანიებს, გახსნიან საბანკო ანგარიშებს, აწარმოებენ ურთიერთობას სახელმწიფოსთან. კომპანიებს რეგისტრაციის დროს მიენიჭებათ ვირტუალური მისამართი, რომელიც ორგანიზაციის რეგისტრაციის დღეს არსებული ფორმების თანაწონადი იქნება.

პირადობა სმარტფონში

ელექტრონული სერვისებით სარგებლობისა და სიმარტივისთვის ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, პირადობის ნაცვლად გამოიყენონ კუთვნილი მობილური ტელეფონი და განახორციელონ ელექტრონული ხელმოწერები, მათ შორის, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

ელექტრონული არჩევნები

ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, ზედმეტი დროისა და დანახარჯის გარეშე, ყოველგვარი წნეხისგან თავისუფალ გარემოში, სახლიდან ელექტრონულად დააფიქსირონ საკუთარი არჩევანი. ამგვარი შესაძლებლობა გაზრდის არჩევნების პროცესში მოქალაქეების ჩართულობას და უზრუნველყოფს სამართლიან საარჩევნო გარემოს.

ელექტრონული ჯანდაცვა

ჯანმრთელობის ელექტრონული ანკეტა გააერთიანებს საქართველოს მასშტაბით, ჯანდაცვის სხვადასხვა პროვაიდერისგან პაციენტთან დაკავშირებით მიღებულ ინფორმაციას. სამედიცინო ტურიზმის განვითარება, პარალელურ რეჟიმში, ჯანდაცვის ბაზების ევროპის სამედიცინო ბაზებთან და პროვაიდერებთან ინტეგრაციის საჭიროებას აყენებს.

ელექტრონული სკოლა

საჯარო სკოლებში სასწავლო და ადმინისტრირების პროცესის მაღალტექნოლოგიური ელექტრონული სისტემების განვითარება, ერთი მხრივ, მშობლის ჩართულობას გაზრდის და, მეორე მხრივ, მას მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ეფექტურ კომუნიკაციაში შეუწყობს ხელს. მშობელს დისტანციურად დროის ნებისმიერ მონაკვეთში ექნება შვილის შეფასებით კომპონენტზე, დავალებებსა და სხვა აქტივობებზე წვდომა. ის შეძლებს, დისტანციურად დააკვირდეს შვილის სწავლის პროგრესს და ამავე დროს მის საჭიროებებზეც ჰქონდეს დროული ინფორმაცია.

განათლება

საქართველო - დასავლური განათლების თანამედროვე და ტექნოლოგიური საგანმანათლებლო ცენტრი რეგიონში

მთავარი გეგმის განათლების რეფორმის მიზანია, საქართველო გახდეს თანამედროვე და ტექნოლოგიური საგანმანათლებლო ცენტრი რეგიონში და მომავალ თაობებს თვითრეალიზებისა და წარმატების თანაბარი შესაძლებლობა მისცეს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით ჩვენ დავამარცხეთ მთავარი გამოწვევა - კორუფცია. განათლების კორუფციულ სისტემაში 2004 წლისთვის დახლოებით 20 მილიონი ლარი ტრიალებდა. ამ თანხას მოსახლეობა ხარჯავდა არა უშუალოდ უმაღლესი განათლების მისაღებად, არამედ სისტემაში მოსახვედრად. ნიჭიერი ადამიანები რჩებოდნენ უმაღლესი განათლების მიღმა. სწორედ ეროვნულმა გამოცდებმა მისცა ყველა ახალგაზრდას საუნივერსიტეტო განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა.

განათლებაში ჩადებული ინვესტიციაა სიღარიბის გრძელვადიანად დაძლევისა და მდგრადი განვითარების ყველაზე ეფექტიანი გზა. ეს არის ინვესტიცია მომავალში. ჩვენი გეგმა ითვალისწინებს განათლების სისტემის დეცენტრალიზაციას, ბაღების, სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიას.

100 მილიონი ლარი ბაღის აღსაზრდელებს

ბაღის აღსაზრდელებს: 1500-ლარიანი სკოლამდელი განათლების ვაუჩერი
ჩვენ გადავალთ საბავშვო ბაღების ვაუჩერულ დაფინანსებაზე. ყველა მშობელს ექნება შესაძლებლობა შვილი მიიყვანოს როგორც საჯარო, ისე კერძო ბაღში.

600 მილიონი ლარი სახელმწიფო ინვესტიცია ბავშვების განათლებაში

მოსწავლეებს: 2000-ლარიანი სასკოლო ვაუჩერი - გასამმაგებული დაფინანსება
ჩვენი გეგმა სასკოლო ასაკის ნებისმიერი მოსწავლისთვის 2000-ლარიანი სასკოლო ვაუჩერის გადაცემას ითვალისწინებს. 3-ჯერ გაზრდილი დაფინანსებით მოსწავლე ისარგებლებს როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლაში.

სასკოლო ასაკი უნდა განისაზღვროს სამართლიანი პრინციპით-კალენდარული წლით და არა სასწავლო წლით, როგორც დღესაა. 5 წლის ასაკის ბავშვის მშობელმა თავად უნდა მიიღოს შვილის სკოლაში მიყვანის გადაწყვეტილება, რაშიც მას სახელმწიფო, ფსიქოლოგებისა და ექსპერტების ინდივიდუალური რეკომენდაციებისა და ონლაინკონსულტაციის უზრუნველყოფით დაეხმარება.

პედაგოგებს: 2000-ლარიანი ანაზღაურება
ვაუჩერული დაფინანსების გასამმაგება სკოლის შემოსავლებს, საშუალოდ, 2.5-ჯერ გაზრდის. ზოგად განათლებაში დაფინანსების კონკურენციაზე დაფუძნებულ მოდელზე გადასვლა, საშემოსავლო/მოგების გადასახადების გაუქმება და დაფინანსების ზრდა მნიშვნელოვნად აისახება პედაგოგის ხელფასზე. ღირსეული ანაზღაურება და მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განვითარების თანამედროვე სისტემის დანერგვა მასწავლებლის პროფესიას პრესტიჟულსა და ახალგაზრდა კადრების სკოლაში შესვლისთვის მიმზიდველს გახდის.

სტუდენტებს: 4500-ლარიანი სახელმწიფო გრანტი - გაორმაგებული დაფინანსება

150 მილიონი ლარი

სახელმწიფო ინვესტიცია უმაღლეს განათლებაში

მთავარი გეგმა ითვალისწინებს 100%-იანი სახელმწიფო გრანტის 2250 ლარიდან 4500 ლარამდე გაზრდას. ყველა სტუდენტი, რომელსაც დღეს აქვს 30%-იანი და მეტი გრანტი, დაფინანსდება სრულად - 100%-ით. შესაბამისად, 15 000-დან 50 000-მდე გაიზრდება 100%-იანი გრანტის მფლობელთა რაოდენობა. უნივერსიტეტებს გაუჩნდებათ მეტი ფინანსური რესურსი კონკურენტული სასწავლო პროგრამების განსავითარებლად.

არსებული რეგულაციებით სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეზღუდებათ ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეკრძალებათ 2250 ლარზე მეტი გადასახადი დააწესონ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც აფერხებს უნივერსიტეტის განვითარების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტებს მიენიჭებათ „აიპი“ სტატუსი და მიეცემათ ორგანიზაციული, ფინანსური და აკადემიური ავტონომია ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შესაქმნელად.

ჩვენ მოვახდენთ სამეცნიერო გრანტების სისტემის მოდერნიზებას, ხელს შევუწყობთ კერძო სექტორის სამეცნიერო კვლევებში ჩართვას და ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო მობილობას.

სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლებაში ინტეგრირება

საქართველოში 12 000 ბავშვი სასკოლო განათლების მიღმაა დარჩენილი. არსებული სისტემით ატესტატის გარეშე დარჩენილი მოქალაქეები ვერც უმაღლეს განათლებას მიიღებენ. რეფორმის შედეგად აღმოვფხვრით კანონისმიერ დისკრიმინაციას.

ყველა ადამიანს ექნება უმაღლესი განათლების მიღებისა და სასურველი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა.

პროფესიული განათლება

მთავარი გეგმის თანახმად, უნდა დაინერგოს პროფესიული განათლების საერთაშორისოდ აღიარებული 3, 6 და 9-თვიანი BTEC პროგრამები და კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი მოქალაქეების ხელფასს და გააადვილებს ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში დასაქმებას.

ევროპული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა

სკოლის ძირითადი ამოცანებია: ბავშვის ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება, უნარების განვითარება და დეკლარატიული ცოდნის გადაცემა. დღეს არსებული საგანმანათლებლო სისტემა კონცენტრირებულია მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის მიცემაზე, მაშინ, როცა ევროპის გამოცდილება აჩვენებს, რომ სამივე მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია, ბავშვის განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო სექტორში, ხელს შევუწყობთ და განვამტკიცებთ კონსტიტუციით გარანტირებული გენდერული თანასწორობის პრინციპების პოპულარიზაციას.

განათლების რეფორმის ფარგლებში ჩვენ ხელს შევუწყობთ ევროპული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას და სკოლები ავტონომიურ მართვასა და კონკურენციაზე დაფუძნებულ პირობებში მათ მოდიფიკაციას საჭიროებებისა და სპეციფიკის შესაბამისად შეძლებენ. რეფორმა დაეფუძნება ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის უმთავრეს პრინციპს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

დამატებით 2 მილიარდი ლარი განათლებაში

განათლების მინისტრი შეითავსებს კომერციული ატაშეს ფუნქციას და ლობირებას გაუწევს რეფორმებს, რომლებიც გაამარტივებს სასწავლო ვიზების აღების პროცესს. ასევე, პოპულარიზებას გაუწევს იდეას - „ისწავლე საქართველოში - ევროპის თანამედროვე საგანმანათლებლო ცენტრში“.

საქართველოში 2020 წლის მონაცემებით 10 000 უცხოელი სტუდენტი სწავლობს, რომლებიც წლიურად საშუალოდ სწავლაში 5000 ევროს იხდიან. ჩვენი გეგმა ითვალისწინებს 5 წლის განმავლობაში უცხოელი სტუდენტების გახუთმაგებას ქვეყანაში და შედეგად დამატებით 2 მილიარდი ლარის მოზიდვას ამ სფეროში. დამატებითი 2 მილიარდი ლარით შეიქმნება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, ინფრასტრუქტურის განვითარების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, კვლევების დაფინანსებისა და ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო შესაძლებლობები.

კულტურა

კულტურა - საქართველოს განვითარებისთვის

მთავარი გეგმა მიზნად ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებას ისახავს. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, კულტურა მაღალშემოსავლიან და წარმატებულ სფეროდ გარდაიქმნას.

დღეს მსოფლიოში კულტურა და კრეატიული ინდუსტრია მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-ს შეადგენს ზრდის ყოველწლიური 10%-იანი პროგნოზით. კულტურა ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოებისა და მომსახურების ნებისმიერი სფერო. მსოფლიოს მასშტაბით ავტოწარმოებაში დასაქმებულთა მაჩვენებელი 2.5-ჯერ ნაკლებია კულტურის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობრივ მაჩვენებელზე.

100 მილიონი ლარი

დამატებითი ინვესტიცია კულტურის განვითარებისთვის

კულტურის განვითარების ეროვნული ფონდი

„კულტურის ეროვნული ფონდი“ გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმებით დააფინანსებს შემოქმედებით პროექტებს, რაც სფეროს რეპუტაციულ აღიარებას მოუტანს და კონკურენტულს გახდის საერთაშორისო დონეზე. მსგავსი აღიარება გაზრდის ჩვენი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს, ხელს შეუწყობს ახალი ინვესტიციების შემოდინებას, კულტურის მუშაკთა ღირსეულ პროფესიულ ცხოვრებასა და სფეროს განვითარებას.

ხელფასების ზრდა

მთავარი გეგმის საგადასახადო რეფორმა პირველივე წელს სწორედ კულტურის სექტორში საშემოსავლო და მოგების გადასახადის გაუქმებით იწყება, რაც სფეროში დასაქმებულთა ხელფასებს მყისიერად გაზრდის 20%-ით და სფეროს განვითარების ახალ შესაძლებლობებს შექმნის.

500 მილიონი ლარი - კულტურის განვითარებისთვის საერთაშორისო კინოინდუსტრიიდან

კულტურის სფეროდან მიღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი მოხმარდება კულტურის სფეროს განვითარებას. სახელმწიფო პროაქტიულად იმუშავებს საერთაშორისო ფესტივალებისა და კინოინდუსტრიული პროექტების მოზიდვაზე. ნულოვანი საგადასახადო სისტემა კინოინდუსტრიაში, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური თანამონაწილეობა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაში საქართველოს მსოფლიო კინოინდუსტრიისთვის მიმზიდველს გახდის. ამ სფერო ს განვითარება ხელს შეუწყობს, როგორც მთლიანად კულტურის, ასევე, მასთან დაკავშირებული და მომიჯნავე ინდუსტრიების განვითარებას.

სოფლის მეურნეობა

მდიდარი სოფელი - თანამედროვე ცოდნა და ტექნოლოგია სოფლის მეურნეობაში

მთავარი გეგმის მიზანია ტექნოლოგიური და თანამედროვე სოფლის განვითარება. სოფლის მეურნეობის დაფინანსება უნდა იყოს მიმართული სწრაფ განვითარებაზე; აქცენტი უნდა გაკეთდეს განათლებაზე, ახალ ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურაზე.

ბოლო 8 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაზე გაიფლანგა 2.5 მილიარდი ლარი, რაც, საშუალოდ, ნიშნავს თითოეულ სოფელზე დახარჯულ 1 მილიონამდე ლარს. მიუხედავად ამისა, სოფლების დაცარიელების პროცესი არ შეჩერებულა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა შედეგები მოაქვს გაუმჭვირვალე და არაეფექტიან პროგრამებს.

100 სოფლის სახლი - მომსახურების თანამედროვე ცენტრები

მთავარი გეგმით ქვეყნის მასშტაბით გაიხსნება 100 სოფლის სახლი, რომელიც უზრუნველყოფს ქართველი ფერმერებისთვის ყველა საჭირო მომსახურების ერთ სივრცეში მიწოდებას. მოსახლეობას აღარ მოუწევს სხვადასახვა სახელმწიფო უწყებებში სიარული სერვისების მისაღებად - სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ყველა მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება, ერთი ფანჯრის პრინციპით, მსგავსად იუსტიციის სახლისა.

სოფლის სახლების 5 მთავარი ფუნქცია იქნება:

- **აგრონომები და ვეტექიმები:** სოფლის სახლში იმუშავებენ მაღალი კვალიფიკაციის აგრონომები და ვეტექიმები, მათ შორის, უცხოეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტები, რომლებიც ჩაატარებენ სწავლებებს და სამუშაო შეხვედრებს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების მიზნით.
- **პროფესიული გადამზადების სასწავლო ცენტრი:** დონორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით სოფლის სახლებში იფუნქციონირებს პროფესიული გადამზადების თანამედროვე სასწავლო ცენტრები. სასწავლო ცენტრები უზრუნველყოფს თანამედროვე ცოდნის გავრცელებას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში: მევენახეობაში, მეხილეობაში, მებოსტნეობაში, მეფუტკრეობაში, მესაქონლეობაში და, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა დარგებში.
- **ლაბორატორიული მომსახურება:** სოფლის სახლებში იფუნქციონირებს საბაზო შესაძლებლობების ლაბორატორიული მომსახურება. მოძრავი მობილური ლაბორატორიების შექმნით შესაძლებელი იქნება, მოსახლეობამ დროის მოკლე პერიოდში ადგილზე მიიღოს ლაბორატორიული კვლევები.
- **სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობის განვითარება:** დონორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით ინტენსიურად დაიწყება თანამედროვე სტანდარტის სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების მშენებლობა.
- **რეალიზაცია:** სახელმწიფო უზრუნველყოფს ქართული პროდუქციისათვის რეალიზაციის ახალი ბაზრების მოძებნასა და ათვისებას. მაგალითად, საუკუნოვანი გამოცდილების ამერიკული კომპანია CARGILL ფერმერებსა და მთავრობებს ეხმარება სოფლის მეურნეობის პროდუქტების, თანამედროვე და ტექნოლოგიური მეთოდებით წარმოებაში, შენახვასა და გასაყიდად გატანაში მსოფლიოს განვითარებულ ბაზრებზე. კომპანიას მსოფლიოს 70 ქვეყანაში დასაქმებული ჰყავს 155 000 ადამიანი.

მიწის საკუთრებაში გადაცემა, უფასო რეგისტრაცია, საძოვარი სოფელს:

დაჩქარებული წესით 1 წელიწადში იქნება შესაძლებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უფასო რეგისტრაცია. აზომვასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები სრულად დაიფარება სახელმწიფოს მიერ.

საძოვრები საკუთრებაში გადაეცემა სოფელს და საძოვრის სტატუსი არ შეიცვლება სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის ნების გარეშე. სოფლების ინტერესიდან გამომდინარე, საძოვრები გამოისყიდება და გადაეცემა სოფლის მოსახლეობას.

ინფრასტრუქტურა - მელიორაცია

სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ზრდის მიზნით, განხორციელდება სახელმწიფო ინვესტიცია მელიორაციისა და ირიგაციის თანამედროვე სისტემების დასანერგად.

მომავალი 4 წლის განმავლობაში სრულად გაიმართება ირიგაციის სისტემები. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, როგორც მწყობრიდან გამოსული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ასევე თანამედროვე ირიგაციის მართვის პოტენციალის განვითარება. პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 200 მილიონი ლარი.

50 მილიონი ლარი თანამედროვე განათლებაში:

სახელმწიფო 50 მილიონ ლარს გამოყოფს სოფლის მეურნეობაში განთლების თანამედროვე მიმართულების დასაფინანსებლად. დაფინანსდება სწავლა როგორც საქართველოში შექმნილ თანამედროვე საგანმანათლებლო ცენტრებში, ასევე საზღვარგარეთ, განვითარებულ ქვეყნებში. სოფლის მეურნეობაში განათლების გავრცელების მიზნით, საქართველოში არსებულ კომპანიებსა და ქვეყანაში ინვესტიციით დაინტერესებულ ტექნოლოგიურ კომპანიებს დაუფინანსდება კადრების გადამზადება.

ევროპის ბაზრების დაჩქარებული წესით ათვისება

დღეს ქართველი ფერმერები ვერ სარგებლობენ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით, რადგან ევროპულ ბაზარზე შესასვლელად მათ უნდა დააკმაყოფილონ ევროპაში არსებული რეგულაციები და სტანდარტები, რასაც ვერ ახერხებენ სოფლის მეურნეობის საქართველოში არსებული სისტემის პირობებში.

ჩვენ ევროკავშირთან ერთად უზრუნველვყოფთ, დაჩქარებული წესით მოხდეს ქართული პროდუქციის შეუფერხებლად გატანა ევროპულ ბაზარზე დროში გაწერილი კონკრეტული გეგმით და ქართული პროდუქცია იყოს ევროპული სტანდარტების შესაბამისი.

ქალთა ეკონომიკურად გაძლიერება

ჩვენ გავაძლიერებთ სოფლად მცხოვრები ქალების ჩართულობას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შესაძლებლობებს გენდერული თანასწორობის უფლებების ხელშეწყობისთვის.

ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტები ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის

სასამართლო

სამართლიანობა ყველას და არა ერთეულებს

საქართველოს უახლეს ისტორიაში ოპოზიციურმა პარტიებმა პირველად მიაღწიეს უპრეცედენტო შეთანხმებას სასამართლო რეფორმის ძირეული ცვლილებების შესახებ. ეს შეთანხმება თითოეული ოჯახის სწრაფ განვითარებაზე ორიენტირებული, ეკონომიკურად წარმატებული საქართველოს მშენებლობის საფუძველი გახდება.

მთავარი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი“, „სამოქალაქო მოძრაობა“ და „ახალი საქართველო“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხების შემდეგ განახორციელებენ ძირეულ სასამართლო რეფორმას, რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის სწრაფი განვითარების, თითოეული მოქალაქის სიმშვიდისა და დაცულობის გარანტი. სასამართლო რეფორმა იქნება მთავარი რეფორმა, რომლითაც საქართველო გახდება რეგიონის ცენტრი ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით.

ჩვენი გეგმით:

- კერძო საკუთრების უფლება იქნება გარანტირებულად დაცული და ხელშეუხებელი;
- უზენაეს და სააპელაციო ინსტანციებში აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოდან ხანგრძლივი ვადით დაინიშნებიან მოსამართლეები, რომლებიც ყველა შესაძლო კოლეგიის უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ;
- სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე სახელმწიფოსა და ბიზნესს, ან მოქალაქეს შორის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ) დავებზე, აშშ-ს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებები სამართლებრივ პრეცედენტებად იქნება აღიარებული;
- მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის 2017 წლიდან გაფორმებული ყველა აქტი გაუქმდება; საკონსტიტუციო ცვლილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ შემადგენლობას უფლებამოსილება შეუწყდება; უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები გაერთიანდება;
- 2021 წელს გათვალისწინებულია ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე; 2024 წლის ბოლომდე კი - ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება ყველა დანაშაულზე, რომლებიც პატიმრობას ითვალისწინებს;
- 2021 წლის ბოლომდე მოსამართლის არჩევითობის პრინციპი ამოქმედდება პირველ ინსტანციაში, რომელიც განიხილავს საქმეთა უმრავლესობას;
- სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულს ექნება შესაძლებლობა, ნაფიც მსაჯულთან ერთად აირჩიოს თავისი საქმის განმხილველი მოსამართლე. ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში მოსარჩელეს ექნება შესაძლებლობა, აირჩიოს თავისი საქმის განმხილველი მოსამართლე.
- ქალთა, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებულ ქალთა, გაძლიერება და მათთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

ადამიანის უფლებები

ინდივიდუალური თავისუფლება ყველას ბედნიერებისთვის

ჩვენ ვცნობთ და დავიცავთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც უზენაეს ღირებულებებს.

კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია და ამის გარანტი დამოუკიდებელი სასამართლო და პოლიტიკურად ნეიტრალური ადმინისტრაციული ორგანო იქნება.

ჩვენი გეგმით:

- უზენაეს სასამართლოში უცხოელი მოსამართლეების 2/3 შემადგენლობით ევროპის სასამართლოს ანალოგიით ადამიანის უფლებათა დაცვის პალატა ჩამოყალიბდება;
- რელიგიის თავისუფლება, როგორც ადამიანის იდენტობის განუყოფელი ნაწილი, განუხრელად იქნება დაცული;
- გამოხატვის თავისუფლება სრულად იქნება დაცული, ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლა კი შესაძლებელი მხოლოდ სიმართლის დაპირისპირებითა და სასამართლოში დავით გახდება;
- ფარული მიყურადებისა და თვალთვალის გასაღები ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ უწყებას გადაეცემა;
- არასამთავრობოებთან თანამშრომლობით შეიქმნება რეალურად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც სამართალდამცავების მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს;
- არაძალადობრივ დანაშაულზე წინასწარი პატიმრობა შეიზღუდება;
- ნარკოპოლიტიკის სფეროში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისი რეფორმები გატარდება, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი ნარკოტიკული საშუალებებისა და ოდენობების ფარგლებში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დეკრიმინალიზაცია;
- საპატიმრო დაწესებულებების მონიტორინგს სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო განახორციელებს; პარლამენტის დეპუტატს უფლება ექნება, წინასწარი გაფრთხილებისა და შეზღუდვის გარეშე დაუბრკოლებლად შევიდეს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის, ციხეებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში;
- შშმ ბავშვებს, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის დაფინანსება გაეზრდება ოკუპაციური თერაპიის მხარდაჭერის პროგრამას; პენსიის მიმღებ ყველა შშმ პირს მათთვის განსაზღვრული სოციალური დახმარება შეუნარჩუნდება;
- ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებული იქნება შექმნას დისკრიმინაციის შესახებ საჩივრების განხილვის შიდა ეფექტიანი მექანიზმი. გატარდება ეფექტური ღონისძიებები სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის პრევენციის მიზნით;
- ქალების მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმების გაძლიერებასთან ერთად შემუშავდება გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალთა გაძლიერების პროგრამები;
- უზრუნველვყოფთ შრომითი დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების შემთხვევებისაგან მოქალაქეების, აგრეთვე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების დაცვას.

საზოგადოებრივი უსაფრთხოება

უსაფრთხო და მშვიდი გარემო - ყველასათვის

მთავარი გეგმის მიზანია, უზრუნველყოს უსაფრთხოება, რათა თითოეული მოქალაქე, მისი ოჯახი და საქმიანობა იყოს დაცული; ყველა საკუთარი უნარითა და შრომით შეძლებს, მიაღწიოს წარმატებასა და კეთილდღეობას.

პირველი და ყველაზე წარმატებული რეფორმა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვახორციელეთ, იყო საპატრულო პოლიციის შექმნა. რეფორმის გატარების შემდეგ სამართლადამცავ სისტემაში სრულიად აღმოიფხვრა ნეპოტიზმი და კორუფცია. პოლიციის ეფექტიანმა ქმედებებმა დაამარცხა ქურდული სამყარო და კრიმინალი, ქვეყანაში დაისადგურა სიმშვიდემ, ადამიანებმა თავი იგრძნეს უსაფრთხოდ, რამაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას - საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა 4-ჯერ, 4-დან 16 მილიარდ დოლარამდე. სამწუხაროდ, ბოლო 8 წლის მანძილზე ოლიგარქის რეჟიმმა მიზანმიმართულად დააკნინა და ძირი გამოუთხარა სამართალდამცავ ინსტიტუტებს, ხელისუფლება გაურიგდა დამნაშავეებს და გამოაცხადა მასთან „გაგებით მოკიდების პოლიტიკა“, რითაც წახალისებულია ქურდული მენტალიტეტი და მკვეთრად გაზრდილია კრიმინალი. ქვეყნის განვითარება შეჩერდა და ვუბრუნდებით ბნელი 90-იანი წლების პერიოდის უმძიმეს კრიმინოგენურ მდგომარეობას.

ჩვენი გეგმით:

- **პოლიციელების ხელფასი გადხება 2000 ლარი და მეტი;**
- **პროკურატურა ორ უწყებად გაიყოფა: შეიქმნება საერთო პროკურატურა და სამოხელეო საქმეთა პროკურატურა. ხელმძღვანელების კანდიდატებს წარადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციები და დამტკიცებისთვის საჭირო იქნება ოპოზიციის მინიმუმ 1/3-ის მხარდაჭერა;**
- **პოლიციის ხელმძღვანელი აირჩევა პარლამენტის მიერ ხუთი წლის ვადით, ღია და გამჭვირვალე კონკურსის წესით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის სრულფასოვანი თანამონაწილეობით.**
- **შსს-ს მთლიანად უნდა გამოეყოს საგამოძიებო სამსახური, რომელიც მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული და ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე იქნება;**
- **შეიქმნება მუნიციპალური პოლიცია; ყველა მუნიციპალიტეტში ოთხი წლის ვადით პირდაპირი წესით აირჩევა შერიფი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და წვრილმან დანაშაულთან ბრძოლას;**
- **ყველა პოლიციელს ექნება ხუთწლიანი გარანტირებული კონტრაქტი;**
- **შსს-ს გენერალური ინსპექციის სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებული იქნება სამოქალაქო საზოგადოებიდან, გამჭვირვალე და საჯარო კონკურსის წესით.**

საგარეო პოლიტიკა

განვითარების დასავლური გზა - საქართველოს ისტორიული არჩევანი

მთავარი გეგმის მიზანია: საქართველოს საერთაშორისო როლის გაზრდა დეოკუპაციისა და ევროინტეგრაციისათვის; ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის გაძლიერება; ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების აღდგენა და განმტკიცება; ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების დაჩქარება; ინვესტიციების მოზიდვა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რაც პირდაპირ აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაზე, საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობასა და სიმშვიდეზე.

ქართული ოცნების მმართველობამ მიზანმიმართულად გააქრო საქართველო საერთაშორისო რადარებიდან, გააფუჭა ურთიერთობები ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, და დატოვა სახელმწიფო მზარდი ინვესტიციებისა და ევროინტეგრაციის პერსპექტივების გარეშე. საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება მყარი საგარეო კურსი, გააქტიურებული საერთაშორისო ურთიერთობები და სწრაფად მზარდი საერთაშორისო ინვესტიციები.

ჩვენი გეგმით:

- გააქტიურდება ნატო-საქართველოს პარტნიორობის ფორმატი და საქართველო გახდება ნატოს წევრი;
- დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობით გააქტიურდება საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა, დაჩქარდება ევროკავშირში, ერთიან ეკონომიკურ სივრცეში, ინტეგრაცია;
- აღდგება და გაფართოვდება გაუარესებული ურთიერთობები ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, შეიქმნება სპეციალური სტრატეგია, რომელიც აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ეკონომიკური სიკეთეების საქართველოს მოქალაქეებამდე მიტანას უზრუნველყოფს;
- ასევე, შემუშავდება სპეციალური სტრატეგია, რომელიც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური სიკეთის საქართველოს მოქალაქეებამდე მიტანას უზრუნველყოფს;
- გააქტიურდება ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებები, სადაც საქართველო დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით არ არის დარჩენილი პირისპირ რუსეთთან;
- საგარეო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი მიზანი იქნება: ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ქართული ღვინის პოპულარიზაციის პროგრამის წარმატებულ მაგალითზე ქართული პროდუქციისათვის ახალი ბაზრების მოძებნა და ათვისება;
- განვაახლებთ არაღიარების, დეოკუპაციისა და დევნილთა უსაფრთხო და მშვიდობიანი დაბრუნების პოლიტიკას.

თავდაცვა და უსაფრთხოება

უსაფრთხოება მშვიდობისა და განვითარებისთვის

მთავარი გეგმის მიზანია, ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. ჩვენი მიზანია, ქვეყანა საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მსოფლიოს მასშტაბით იყოს წარმატებული. უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო არის მთავარი წინაპირობა სახელმწიფოში ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისათვის.

შეიქმნა თანამედროვე, ნატოს სტანდარტებით მოდერნიზებული და აღჭურვილი ქართული ჯარი, რომელსაც ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამშვიდობო მისიებში.

2010 წელს შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, რომლის მთავარი მიზანი ქართული სამხედრო მრეწველობის განვითარება იყო. 2011 წელს „დელტა“-ს მეშვეობით შეიქმნა პირველი ქართული ჯავშნიანი სამხედრო მანქანა „დიდგორი“, ხოლო 2012 წელს პირველი ქართული ქვეითი საბრძოლო მანქანა „ლაზიკა“. ჩვენ გვაქვს ქართული სამხედრო მრეწველობის განვითარებისა და წარმატების თვალსაჩინო მაგალითები.

ჩვენი გეგმით:

- ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიანი წევრობა არის ქართველი ერის გაცნობიერებული არჩევანი. ჩვენ გავაგრძელებთ განუხრელ მსვლელობას ნატოში გაწევრიანების მიმართულებით, რაც იქნება საქართველოს სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საფუძველი;
- კიდევ უფრო მეტად გავაღრმავებთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობას, გავაძლიერებთ თანამშრომლობას სამართალდამცავ და უსაფრთხოების დასავლურ სტრუქტურებთან საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებში გარე ჩარევების განეიტრალების მიზნით;
- გავაძლიერებთ სამხედრო მრეწველობას, რომელიც, ერთი მხრივ, განამტკიცებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს ასობით მილიონი დოლარის ოდენობით;
- ჩვენ ახალი ძალისხმევით გავაგრძელებთ შეიარაღებული ძალების მოდერნიზება - აღჭურვას, რაც ბოლო 8 წლის განმავლობაში შენელდა. განსაკუთრებულ ყურაღებას მივაქცევთ ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო, ანტისატანკო თავდაცვასა და კიბერუსაფრთხოებას;
- ჩვენ შეიარაღებულ ძალებს ეტაპობრივად სრულად გადავიყვანთ პროფესიულ-საკონტრაქტო სისტემაზე და, შესაბამისად, უარს ვიტყვით სავალდებულო სამხედრო სამსახურზე;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამხედრო პირთა ობიექტურ პრინციპებზე დაფუძნებული კარიერული ზრდის გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის დამკვიდრებას;
- გაიზრდება სამხედრო მოსამსახურეთა ანაზღაურება და მათ ოჯახებს გადაეცემათ ჯანმრთელობის დაზღვევის საუკეთესო პაკეტი;
- შრომისუნარიანობადაკარგულ, დაჭრილ სამხედროებს შეუნარჩუნდებათ ხელფასის ასი პროცენტი მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- სამხედრო ოპერაციებსა და მისიებში დაღუპული სამხედროების ოჯახებს შეუნარჩუნდებათ ხელფასის ასი პროცენტი მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- ომის ვეტერანებს ფულადი დახმარება.გახდება 200 ლარი

ალმშენებლობის გეგმა - სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტები

მთავარი გეგმა საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში სტრატეგიული მნიშვნელობის, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ეკონომიკური მიზიდულობის ახალი ცენტრების განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციას ისახავს მიზნად.

ქალაქი ლაზიკა

3.5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია მომავლის საქართველოში

ლაზიკას მშენებლობის სტრატეგიული მნიშვნელობის გასაანალიზებლად პროექტის საგარეო მხარდაჭერის ვექტორზე დაკვირვებაც საკმარისია - პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს და რესურსებს გამოყოფს სტრატეგიული მოკავშირე, ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო ეწინააღმდეგება ოკუპანტი. ლაზიკა მშენებლობის პროცესში შეიქმნება ათობით-ათასი ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ - შესაძლებელი გახდება დასავლეთ საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

მაღალი სიჩქარის მატარებლის ინფრასტრუქტურის განვითარება

3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია მომავლის საქართველოში

ქვეყანაში ახალი ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრების განვითარებისთვის საქართველოს სჭირდება მაღალი სიჩქარის მატარებლის ინფრასტრუქტურა. მაღალი სიჩქარის მატარებლის საშუალო სიჩქარე 200 კმ/სთ-ია, რაც ნიშნავს, რომ ბათუმიდან ქუთაისში ჩასასვლელად 45 წუთი იქნება საკმარისი. ადამიანებს შეეძლებათ იცხოვრონ ბათუმში და იმუშაონ ქუთაისში, ან პირიქით. გარდა ამისა, მაღალი სიჩქარის მატარებელი სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით, უპირატესია ტევადობით, მობილობით, სიჩქარით, უსაფრთხოებითა და სიიაფით.

გამდიდრების გზა

2 მილიარდი ლარის ინვესტიცია მომავლის საქართველოში

გეგმა ითვალისწინებს ევროპისა და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტის - „აბრეშუმის გზა“ - 3 წელიწადში დასრულებასა და ექსპლუატაციაში მიღებას.

ავტომაგისტრალი იწყება აზერბაიჯანის საზღვრიდან (წითელი ხიდი) და სრულდება შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ფოთის პორტთან. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 120-ე კილომეტრზე სამუშაოები ჯერ არ არის დაწყებული - ეს არის ე.წ. მესამე ლოტის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაკვეთებს: თბილისი-წითელი ხიდი, თბილისის შემოსასვლელი გზა, გრიგოლეთი-ფოთი, სამტრედია-გრიგოლეთის გარკვეული ნაწილი.

ჩვენი გეგმით, მომდევნო 3 წლის განმავლობაში ავტომაგისტრალის მშენებლობა დასრულდება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოში საერთაშორისო ტვირთბრუნვას და ეკონომიკის სწრაფი განვითარების უმთავრესი ფაქტორი გახდება.

განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება

3 მილიარდი ლარის ინვესტიცია მომავლის საქართველოში

რეგიონული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია რეგიონებში განათლების თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება. მაღალტექნოლოგიური სკოლები ხელს შეუწყობს რეგიონებში ხარისხიანი თანამედროვე განათლების მიღებას. 3 მილიარდი ლარის სახელმწიფო ინვესტიცია (ვაუჩერული დაფინანსების სისტემა) განათლებაში ქვეყნის მასშტაბით განვითარების თანაბარ, დივერსიფიცირებულ შესაძლებლობებს გააჩენს.

ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება

2.5 მილიარდი ლარის ინვესტიცია მომავლის საქართველოში

რეგიონული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია რეგიონებში თანამედროვე ჰოსპიტალური ინფრასტრუქტურის განვითარება. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის ცენტრების განვითარება. მომდევნო 4 წლის განმავლობაში ჯანდაცვის მიმართულებაში ჩაიდება დამატებით 2.5 მილიარდი ლარი და ადამიანები, მიუხედავად ადგილმდებარეობისა, შეძლებენ, ჩაიტარონ ევროპული სტანდარტის გამოკვლევები ავადობის პრევენციისა და ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მიზნით.

მთავარი გეგმის ფისკალური დასაბუთება

ჩვენ წარმოგიდგენთ მთავარი გეგმით გათვალისწინებული რეფორმების ფისკალურ დასაბუთებასა და ჩვენს პროგნოზებს შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში.

პასუხისმგებლიანი ფისკალური გეგმა

სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული თითოეული რეფორმა მნიშვნელოვანია, იყო რეალისტური, ფისკალურად მდგრადი და გამჭვირვალე.

ჩვენ გთავაზობთ მთავარი გეგმით გათვალისწინებული რეფორმების ფისკალურ დასაბუთებასა და პროგნოზებს მომდევნო 4 წლისთვის.



საქართველოს ეკონომიკა მომდევნო 4 წელიწადში 30 მილიარდით გაიზრდება. ეს ნიშნავს ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკის 8 000 ლარით გაზრდას.



საგადასახადო რეფორმა და ფისკალური სტაბილურობის ინდიკატორები

თავისუფალი აქტით განსაზღვრულია სამი ინდიკატორი პასუხისმგებლიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესანარჩუნებლად: ბიუჯეტის დეფიციტი, მთავრობის ვალი და ბიუჯეტის წილი ეკონომიკაში.

სწრაფი რეფორმების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა. რეალისტური მიდგომა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ საწყის ეტაპზე ბიუჯეტის დეფიციტი მაღალი იქნება რეფორმებისა და ახალი სახელმწიფო ინვესტიციების საჭიროების შედეგად. თუმცა, სამწლიან პერიოდში, 2023 წლისთვის, ბიუჯეტის დეფიციტს შევამცირებთ 3%-მდე.

ფისკალური სტაბილურობის მაჩვენებლები	2020	2021	2022	2023	2024
ბიუჯეტი (მლრდ ლარი)	19.5	20	20	20.5	22
ბიუჯეტის წილი ეკონომიკაში	39%	36%	31%	28%	25%
სახელმწიფო ვალის წილი ეკონომიკაში	57%	57%	55%	52%	49%
ბიუჯეტის დეფიციტი	-8.3%	-5.2%	-4.8%	-2.9%	-2.9%

გადასახადების გაუქმებით მიღებული საბიუჯეტო დანაკლისი არის ქვეყნის მიერ განხორციელებული სახელმწიფო ინვესტიცია, რომლის შევსებასაც ქვეყანა შეძლებს:

- ბიზნესის განვითარების შედეგად გენერირებული მეტი დამატებითი ღირებულების და სხვა გადასახადის შემოდინებით;
- მცირე და ეფექტური მთავრობის ხარჯზე დაზოგილი თანხებით;
- მეტი ინვესტიციის მოზიდვით მიღებული სარგებლით;
- გადასახადების ადმინისტრირების პროცესის გამარტივებითა და მისი ელექტრონიზაციის გზით მიღებული სარგებლით.

საგადასახადო შემოსავლის ცვლილება (მლნ ლარი)	2021	2022	2023	2024
დამატებითი ღირებულების გადასახადი	720	920	1217	1539
აქციზის გადასახადი	108	139	186	225
საშემოსავლო გადასახადი	-560	-712	-937	-1281
მოგების გადასახადი	-140	-179	-236	-322
სხვა გადასახადები	81	102	133	163
ბალანსი	**223**	**270**	**362**	**324**

სახელმწიფო ინვესტიციები

სახელმწიფო ინვესტიციები განხორციელდება ოთხი მთავარი მიმართულებით: ტექნოლოგიური მთავრობის რეფორმა, საგადასახადო რეფორმა, განათლების რეფორმა და ჯანდაცვის რეფორმა.

ახალი სახელმწიფო ინვესტიციები (მლნ ლარი)	2021	2022	2023	2024
ტექნოლოგიური მთავრობის რეფორმა	100	300	300	300
განათლება	450	850	850	850
ჯანდაცვა	500	600	600	800
სოფლის მეურნეობა	50	50	50	50
კულტურა	25	25	25	25
სოციალური უზრუნველყოფა - პენსია	400	700	1000	1300
სოციალური უზრუნველყოფა - სოციალური დახმარებებები	750	850	850	850

ინვესტიციები და დასაქმება

მთავარი გეგმით გათვალისწინებული რეფორმების შედეგად საქართველო მსოფლიოსთვის გახდება ინვესტიციების გახორციელების ახალი ცენტრი.

ინვესტიციები და დასაქმება	2021	2022	2023	2024	ჯამი
უცხოური ინვესტიციები საქართველოში (მლნ დოლარი)	1500	2000	3000	3500	10000
უცხოური ინვესტიციების წილი ეკონომიკაში	8%	9%	12%	12%	10%
გადასახადების შემცირებით დატოვებული ფული ეკონომიკაში (მლნ ლარი)	700	1700	3500	6400	12300
ახალი სამუშაო ადგილები	30000	60000	90000	120000	300000

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

კეთილდღეობა, წარმატება, უსაფრთხოება
ყველას და არა ერთეულებს!

რეფორმების გუნდი

ირაკლი ყიფიანი
ვენეციისა და პადოვას უნივერსიტეტების ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

დურუ მახარაძე
ეკონომიკის მაგისტრი, ISET

გიორგი გამყრელიძე
ეკონომიკის მაგისტრი, საჯარო მმართველობა, GIPA

„რეფორმების გუნდის“ მიერ შექმნილ ქვეყნის განვითარების გეგმას დაეფუძნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“ საარჩევნო პროგრამა.

მდიდარი საქართველო
ძლიერი ოჯახი

unm.ge
reform.ge

2020